გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32
2022 წლის 4 თებერვალი

ქ. გურჯაანი

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ნოემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილებები „გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ნოემბრის №32 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: https://matsne.gov.ge, 14/11/2019, 010250020.35.166.016457) და დადგენილებით დამტკიცებული გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილება.“

2. მე-6 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების ფუნქციები და უფლებამოსილება“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ვანო ბერიძიშვილი**